

თავი 19

საოპერაციო საქმიანობის ანალიზი და პასუხისმგებლობის ცენტრების ანგარიშგება

1. საწარმოო თვითღირებულების გადახრაზე პასუხისმგებელია:

- ა) მარკეტინგული ქვედანაყოფი;
- ბ) ფირმის ხელმძღვანელობა;
- გ) საწარმოო ქვედანაყოფი.

2. რომელია სწორი მსჯელობა:

- ა) ფაქტიური სუფთა მოგების საბიუჯეტოსთან შედარებით შემცირება არის ხელსაყრელი გადახრა;
- ბ) შემოსავლების ხელსაყრელი გადახრა წარმოიქმნება ფაქტიური თვითღირებულების შემცირებით საბიუჯეტო თვითღირებულებასთან შედარებით;
- გ) ფაქტიური სუფთა შემოსავლის საბიუჯეტოსთან შედარებით გაზრდას მიყვავართ არახელსაყრელ გადახრასთან.

3. საერთო მოგების გამოთვლის გადახრის დროს:

- ა) ფაქტიური მოგება ეფუძნება საწარმოო ხვედრით თვითღირებულებას, ხოლო საბიუჯეტო მოგება კი - სტანდარტულ ხვედრით თვითღირებულებას;
- ბ) ფაქტიური და საბიუჯეტო მოგებები ორივე ეფუძნება სტანდარტულ ხვედრით თვითღირებულებას;
- გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

4. თუ პროდუქციის თვითღირებულება და გასაყიდი ფასი დანახარჯების მყიდველის მხრებზე გადატანით თანაბრად გაიზარდა, მაშინ:

- ა) საბიუჯეტო მოგება მეტია ფაქტიურ ხვედრით მოგებაზე;
- ბ) ამ შემთხვევას მიყვავართ ამონაგების ხელსაყრელ გადახრამდე;
- გ) ხვედრითი მოგების გადახრა ნულის ტოლია.

5. გაყიდვების სტრუქტურულ გადახრას ადგლი აქვს როდესაც:

- ა) კომპანია აწარმოებს ერთი სახის პროდუქციას;
- ბ) კომპანია აწარმოებს სხვადასხვა სახის პროდუქციას, რომელთა გასაყიდი ფასი ერთნაირია;
- გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა

- ა) თვითღირებულების არახელსაყრელი გადახრა წარმოიქმნება, თუ ფაქტიური ღვითღირებულება საბიუჯეტოზე დაბალია;
- ბ) შემოსავლის ხელსაყრელი გადახრა წარმოიქმნება, თუ ფაქტიური შემოსავალი დაბალია საბიუჯეტო შემოსავალთან შედარებით;
- გ) თვითღირებულების არახელსაყრელი გადახრა წარმოიქმნება, თუ ფაქტიური თვითღირებულება საბიუჯეტოზე მაღალია.

7. მარკეტინგის განყოფილება საერთო მოგების გადახრის გამოთვლისას იყენებს პროდუქციის თვითღირებულების სტანდარტულ (საბიუჯეტო) სიდიდეს, იმიტომ რომ:

- ა) მარკეტინგის განყოფილება პასუხს არ აგებს პროდუქციის თვითღირებულებაზე;
- ბ) ფაქტიური თვითღირებულების გამოყენება მოგვცემს საერთო მოგების გადახრის არასწორ შედეგს;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

8. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მსჯელობა:

- ა) საკონტროლო ანგარიშგების დანიშნულებაა ხელმძღვანელობას აცნობოს ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ;
- ბ) საკონტროლო ანგარიშგების დანიშნულებაა ხელმძღვანელობას აჩვენოს რამდენად მართებული იყო მენეჯერის ქმედებები იმასთან შედარებით, ვიდრე მისგან ელოდნენ;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

9. ჰიპოთეზური ბიუჯეტი ეყრდნობა:

- ა) ფაქტიური ხვედრითი მოგების მიხედვით გამოვლენილ ფაქტიურ მოცულობას;
- ბ) საბიუჯეტო ხვედრითი მოგების მიხედვით დათვლილ ფაქტიურ მოცულობას;
- გ) საბიუჯეტო ხვედრითი მოგების მიხედვით დათვლილ საბიუჯეტო მოცულობას.

10. ხვედრითი მოგების გადახრა ეს არის:

- ა) სხვაობა ფაქტიურ და საბიუჯეტო ამონაგებს შორის;
- ბ) სხვაობა ფაქტიურ ხვედრით მოგებასა და თავდაპირველ საბიუჯეტო ხვედრით მოგებას შორის;
- გ) სხვაობა ჯამურ ფაქტიურ საერთო მოგებასა და ჰიპოთეზურ ბიუჯეტს შორის.

11. რომელია სწორი მსჯელობა:

- ა) წარმოების საბიუჯეტო და ფაქტიურ მოცულობას შორის სხვაობა გვაძლევს ზედნადები ხარჯების ღირებულების გადახრას;
- ბ) პირდაპირი მატერიალური და შრომითი დანახარჯებისათვის წარმოების მოცულობის გადახრა არ არსებობს;
- გ) ორივე მსჯელობა სწორია.

12. ვარიაციული ანალიზის უმთავრესი მიზანია:

- ა) გადახრების ანალიზი;
- ბ) საკონტროლო ანგარიშგების მომზადება;
- გ) ორივე მათგანი.

13. საკონტროლო ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფაქტიური მონაცემების შედარებისათვის საუკეთესო სტანდარტად შეიძლება ჩაითვალოს:

- ა) საბიუჯეტო გეგმა;
- ბ) დარგის საუკეთესო მაჩვენებელი;
- გ) გასული წლების საუკეთესო შედეგი.

14. გადახრების ანალიზში პირველი ნაბიჯი არის:

- ა) გეგმიური მოგების მაჩვენებლის შედარება ფაქტიურთან;
- ბ) თვითღირებულების გადახრის ანალიზი;
- გ) სტანდარტის მართებულობის შესწავლა.

15. მმართველობითი კონტროლის სისტემის გამორიცხვის პრინციპით მუშაობა ნიშნავს:

- ა) ფოკუსირებას დამაკმაყოფილებელი შედეგების მქონე მუხლებზე;
- ბ) ყურადღების გამახვილებას იმ მუხლებზე, რომლებშიც ფაქტიური მაჩვენებლები განსხვავდება სტანდარტისაგან;
- გ) მმართველობითი აღრიცხვის თანაბარი ყურადღება საკონტროლო ანგარიშგებაში ასახულ ყველა მონაცემზე.

ამოცანა №1

კომპანია “ალფა” მრავალდარგოვანი ფირმაა და რამდენიმე ქვედანაყოფი აქვს, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. მოცემულ ამოცანაში განიხილება კომპანიის ზოგიერთ ქვედანაყოფში ვარიაციული ანალიზის პრობლემები.

„ა“ ქვედანაყოფმა თავისი წლიური მოგების ბიუჯეტში „ა“ საქონლის 24000 ერთეულის გაყიდვის მოცულობა განსაზღვრა. „ა“ საქონლის საბიუჯეტო ფასი ერთეულზე 48 ლარს შეადგენდა, მისი სტანდარტული თვითღირებულება – 29 ლარს. „ა“ საქონლის ფაქტიურმა გასაღებამ 1105500 ლარი შეადგინა – 22000 ერთეულის მოცულობით.

დავალება:

განსაზღვრეთ საერთო მოგების გადახრა „ა“ ქვედანაყოფში.

ამოცანა №2

კომპანია “ალფას” „ბ“ ქვედანაყოფი.

„ბ“ ქვედანაყოფი სამი სახის საქონელს აწარმოებს. გასული თვის განმავლობაში ამ საქონლებზე საბიუჯეტო და ფაქტიური გაყიდვები და მთლიანი მოგება შემდეგნაირად ხასიათდებოდნენ:

	ბიუჯეტი		ფაქტიური	
	გაყიდვა, ცალი	ხვედრითი მოგება, ლარი	გაყიდვა, ცალი	ხვედრითი მოგება, ლარი
საქონელი 1 . . .	3200	10,00	2850	10,20
საქონელი 2 . . .	1700	13,00	2500	12,58
საქონელი 3 . . .	<u>5100</u>	<u>9,00</u>	<u>4250</u>	<u>8,80</u>
	10000	10,00	9600	10,20

დავალება:

განსაზღვრეთ მთლიანი მოგების, გასაყიდი ფასის და გაყიდვების მოცულობის გადახრების სტრუქტურები. პირდაპირ გამოთვალეთ მთლიანი მოგების სუფთა გადახრა, შემდეგ შეამოწმეთ, ტოლია თუ არა იგი გადახრის ინდივიდუალურად გამოთვლილი სამი კომპონენტის ჯამისა.

ამოცანა №3

კომპანია “ალფას” გ ქვედანაყოფი.

გ ქვედანაყოფი აწარმოებს საქონელს, რომლისთვისაც ნედლეულისა და მასალების სტანდარტული ღირებულება 100 კილოგრამ დამთავრებულ პროდუქტზე შემდეგნაირად ხასიათდება:

60 კგ ა მასალა – 1 კგ 1,30 ლარად	78 ლარი
40 კგ ბ მასალა – 1 კგ 1,80 ლარად	72 ლარი
100 კგ მასალა მთლიანი ღირებულებით	150 ლარი

ითვლება, რომ წარმოების პროცესში ეს მასალები მთლიანად გადამუშავდება, ამიტომ ეს სტანდარტები დანაკარგებზე დანახარჯებს არ ითვალისწინებს.

ივნისში მასალების ფაქტიურმა გამოყენებამ და შესაბამისმა დანახარჯებმა შეადგინა:

ა მასალა გამოყენებულია 5500 კგ – 1 კგ 1,30 ლარად	7150 ლარი
ბ მასალა გამოყენებულია 4500 კგ – 1 კგ 1,95 ლარად	8775 ლარი
10000 კგ მასალა (ათი ათასი) მთლიანი ღირებულებით	15925 ლარი
დამთავრებული პროდუქტის ფაქტიური რაოდენობა – 9900 კილოგრამი	

დავალება:

გამოთვალეთ გადახრა ნედლეულისა და მასალებისთვის ივნისის თვეში 9900 კგ ფაქტიური წარმოებისათვის.

შენიშვნა. აქ ნედლეულისა და მასალების სტრუქტურის გადახრა, ამ თავში განხილული მთლიანი მოგების ტრუქტურული გადახრის ანალოგიურია.

ამოცანა №4

კომპანია “ალფას” „დ“ ქვედანაყოფი.

„დ“ ქვედანაყოფი აწარმოებს ერთი სახის „ა“ საქონელს. მთლიან საბიუჯეტო მოგებაზე წლიური ანგარიშგების მომზადებისას ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა შემდეგი მონაცემები გამოიყენა:

გაყიდვები, ცალი	5000
ერთეული საქონლის გასაყიდი ფასი, ლარი	190

სტანდარტული ხვედრითი დანახარჯები, ლარებში:

ნედლეული და მასალები (1 კგ - 1,50 ლარად)	60
პირდაპირი შრომითი დანახარჯები (1 სთ -20 ლარი)	50
ზედნადები ხარჯები (პირდაპირი შრომითი დანახარჯის 120%)	60

სხვა საწარმოო სტანდარტები:

წარმოების მოცულობა, ცალი	5000
--------------------------	------

ზედნადები ხარჯების ბიუჯეტი:

პირდაპირი შრომითი დანახარჯების ყოველ 1 ლარზე 80 თეთრს დამატებული ფიქსირებული ხარჯები 100000 ლარი

ზედნადები ხარჯების განაწილება:

დაფუძნებულია პირდაპირი შრომითი დანახარჯების ფაქტიურ სიდიდეზე ფაქტიური შედეგები კი წლის განმავლობაში შემდეგი იყო:

1. გაყიდულია „ა“ საქონლის 4900 ერთეული თანხით – 940800 ლარი;
2. სულ წარმოებულია 5100 ცალი „ა“ საქონელი.
3. შეყიდული და გამოყენებულია 206000 კილოგრამი ნედლეული და მასალები, მთლიანი ღირებულებით – 311100 ლარი;
4. დახარჯულია პირდაპირი შრომის 12750 საათი, თანხით – 252450 ლარი;
5. ფაქტიურმა ზედნადებმა ხარჯებმა 294000 ლარი შეადგინა.
6. ფაქტიური მოგება 117230 ლარი.

დავალება:

1. გააკეთეთ გადახრების დეტალური ანალიზი, რამდენადაც მოწოდებული მონაცემები იძლევა ამის საშუალებას.
2. ქვედანაყოფის ხელმძღვანელობასთან წარსადგენად მოამზადეთ ნაკრები ანგარიშგება, სადაც ნაჩვენები უნდა იყოს საბიუჯეტო და ფაქტიური მთლიანი მოგება წლის განმავლობაში, ასევე, მოცემული იყოს მათ შორის სხვაობის განმარტება.